



მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 10 მაისი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
2. ვიტალი გიორგაძე - საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი, მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
3. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. მაია კობახიძე - საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

მოწვეული სტუმრები: კავშირი „საფარი“-ს, „აუდიტორია 115“-ისა და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“-ს წარმომადგენლები

განსახილველი საკითხები:

- განცხადება კონსტიტუციის წარმოდგენილ პროექტში შრომის უფლებების ასახვასთან დაკავშირებით
- საქართველო რკინიგზელთა პროფკავშირის ანგარიში სს „საქართველოს რკინიგზაში“ სოციალური დიალოგის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ
- საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისა და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შორის დარგობრივი შეთანხმების შესახებ
- სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა
- სხვა საკითხები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

მიუხედავად წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგისა, შეხვედრის წინა დღეს განვითარებული მოვლენების გამო, ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება განიხილოს შრომის უფლებები, შედარებით ვიწრო კონტექსტში და იმსჯელოს ამ კონკრეტულ შემთხვევის რეაგირების გზებზე.

ჯგუფმა ისაუბრა 9 მაისს სადამოს, ტყიბულის მინდელის სახელობის შახტაში, მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ, რომლის შედეგად 4 მეშახტე ადგილზე გარდაიცვალა. პროფესიული კავშირების წარმომადგენლეთა განცხადებით მსგავსი შემთხვევები სამწუხაროდ იშვიათობას არ წარმოადგენს და საჭიროებს რეაგირებას - აუცილებელია შემუშავდეს პრევენციის ეფექტური მექანიზმი. მათი ინფორმაციით ტყიბულში 2010-17 წლებში სულ 24 მეშახტე დაიღუპა, ხოლო დაშავდა - 19. სტატისტიკა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საჭიროა მყისიერი და რადიკალური მოქმედებები. მოწვეულ სტუმრებთან ერთად ჯგუფმა იმსჯელა სხვადასხვა შესაძლებლობებზე თუ როგორ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და გამოხატონ პროტესტი.

ჯგუფმა ასევე გაინიხილა განცხადება კონსტიტუციის წარმოდგენილ პროექტში შრომის უფლებების ასახვასთან დაკავშირებით, სადაც მთავარი მოთხოვნა გახლავთ შენარჩუნდეს ის სტანდარტი რაც არის კონსტიტუციაში და დაემატოს ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმი. ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული განცხადება გავრცელდეს პლატფორმაში და ორგანიზაციები, რომლებიც იზიარებენ ამ პოზიციას შემოუერთდნენ განცხადებას. განცხადების თანავტორებმა ასევე აღნიშნეს, რომ იგეგმება განცხადების სრული ვერსიის გადაგზავნა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიაშიც.

დღის წესრიგის სხვა საკითხები გადაიდო განსახილველად შემდეგი შეხვედრისთვის.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.